

მდგრადი სათემო განვითარების
მექანიზმის პილოტირება
აჭარის მაღალმთიან სოფლებში

შედეგების
აღწერა
და
შეფასება

CLDN



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

მდგრადი სათემო განვითარების
მექანიზმის პილოტირება
აჭარის მაღალმთიან სოფლებში

შედეგების აღწერა და შეფასება

ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრი
დეკემბერი, 2018

გამოცემა მომზადებულია პროექტის „მდგრადი სათემო განვითარების მექანიზმის პილოტირება აჭარის მაღალმთიან სოფლებში“ ფარგლებში. პროექტი დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველო“.

გამოცემაზე მუშაობდნენ: დავით ლოსაბერიძე, მერაბ ცინდელიანი, ასლან ჭანიძე, ლიკა სანიკიძე.

გამოცემაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო“ მოსაზრებებს.

რედაქტორი: მაია ახალაია

სარჩევი

წინათქმა	3
1. შესავალი	4
2. პროექტის შესახებ	7
2.2. პროექტის მიზნები	9
2.3. მეთოდოლოგია	10
3. განხორციელებული აქტივობები.....	12
3.1. პირველი მიმართულება – ბენეფიციართა იდენტიფიცირება	12
3.2. მეორე მიმართულება – ადგილობრივი ინიციატივების განხორციელება	13
3.3. მესამე მიმართულება – „სოფლის პასპორტების“ შექმნა.....	15
3.4. მეოთხე მიმართულება – მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება	19
4. პროექტის შედეგები და ძირითადი მიგნებები.....	22
4.1. შედეგები	22
4.2. ძირითადი მიგნებები	23
5. რეკომენდაციები.....	24
დანართი – პასპორტის ფორმა.....	26

წინათქმა

პროექტი „მდგრადი სათემო განვითარების მექანიზმის პილოტირება აჭარის მაღალმთიან სოფლებში“ მეთოდოლოგიურად ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის პროექტის „მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი მექანიზმების პილოტირება მცირე სოფლებში“ გაგრძელებაა, რომელიც 2016-2017 წლებში განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

ამ პროექტების მიზანია მცირე დასახლებებში ადგილობრივი განვითარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა და ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა. ხორციელდება ცალკეული მიდგომების, მეთოდების აპრობირება კონკრეტულ სოფლებში მიზანმიმართული და პერმანენტული აქტივობის შედეგად.

პროექტი „მდგრადი სათემო განვითარების მექანიზმის პილოტირება აჭარის მაღალმთიან სოფლებში“ მიზნად ისახავდა გაერკვია, თუ რამდენად შესძლებდნენ უშუალოდ მოქალაქეები, სახელმწიფო სტრუქტურებისა და დიდი საერთაშორისო პროგრამების მართვის გარეშე, საკუთარი დასახლების განვითარების გრძელვადიანი ხედვების შემუშავებას და მათ კონკრეტულ საპროექტო წინადადებებზე წარმოდგენას.

1. შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის ხშირი ცვლა, ტერიტორიული მოწყობის გაურკვეველობა, მოსახლეობას და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული კომუნიკაციის სისუსტე, სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების არასტაბილურობა, პარლამენტიდან და მთავრობიდან წამოსული ურთიერთგამომრიცხავი და ბუნდოვანი მესიჯები გაურკვეველს ხდის ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ახლო პერსპექტივებს და მიმართულებებს. ასეთ ვითარებაში ადგილობრივ განვითარებაზე მომუშავე პროექტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ადგილობრივ თემზე, რომელიც ნებისმიერი კანონისა და რეფორმის შემთხვევაში უცვლელი რჩება.

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის, საკანონმდებლობაზე ასთან ერთად, აუცილებელია ინიციატივა, მოვლენებზე ზეგავლენის სურვილი ჰქონდეს საზოგადოებას და არა მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ პროცესის ხელშეწყობისათვის ერთადერთი გამოსავალი ადგილობრივი თემების გაძლიერებაა, რაც უნდა განხორციელდეს სათემო საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბებით, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაზე მიმართული საქმიანობის მათთან ერთად დაგეგმვითა და განხორციელებით. სათემო საინიციატივო ჯგუფებს მოსახლეობასთან ერთად უნდა შეეძლოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩართულობის ყველა ფორმის/მექანიზმის ყოველ ეტაპზე ადეკვატური გამოყენებით სათემო განვითარების პროექტების/საჭიროებების ადგილობრივ ხელისუფლებასთან და გადანაცვეტილების მიმღებ აქტორებთან ადვოკატირება.

სსო-თა როლი უნდა გახდეს სწორედ ამ სათემო საინიციატივო ჯგუფების წარმოჩენა, ჩამოყალიბება, მათთვის დაგროვილი ცოდნისა და უნარების გადაცემა, მათთან ერთად სათემო განვითარების ხედვების ჩამოყალიბება, მათთვის მოტივაციის შექმნა, ყოველ ეტაპზე მენტორინგი და კონსულტირება, ასევე მონიტორინგი და შეფასება.

საინიციატივო ჯგუფს ჩამოყალიბების შემდეგ, არსებული ნიჰილიზმისა და შესაძლებლობების დაბალი თვითშეფასების საპასუხოდ, ცოდნისა და უნარების მიღების პარალელურად, თემის ჩართულობით უნდა მიეცეს ადგილობრივ განვითარებაზე მიმართული მცირე პროექტის განხორციელების შესაძლებლობა.

ნებისმიერი სათემო ინიციატივის დაგეგმვა-განხორციელებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არსებული სიტუაციის კარგად ცოდნასა და საერთო სურათის შეფასებას. საინიციატივო ჯგუფების მიერ სათემო გრძელვადიანი განვითარებისთვის ხედვების ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით, მომზადდეს ე.წ. „სოფლის პასპორტები“ – ადგილობრივი რესურსების მეფინგი სტატისტიკური, სოციალური, გეოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა შესაძლო მნიშვნელოვანი მონაცემებით. „სოფლის პასპორტები“ შეიძლება გახდეს ადგილობრივ განვითარებაზე მომუშავე აქტორებისთვის სახელმძღვანელო/ხელშემწყობი დოკუმენტი.

არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ მონაწილეობის ფორმების გამოყენებით ცალკეული წარმატებული ქეისების/შემთხვევების შექმნას გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს, თუმცა არ არის საკმარისი ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარებისთვის. აუცილებელი ხდება თავად ამ თემის მიერ **გრძელვადიანი განვითარების ხედვების** ჩამოყალიბება.

ძლიერი სათემო საინიციატივო ჯგუფი გახდება არასამთავრობოებისთვის, დონორებისთვის, ხელისუფლებისთვის დასაყრდენი ძალა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების/პროგრამების განხორციელების პროცესში.

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელშიც, ზოგადი პრინციპებისა და მათი რეალიზების მექანიზმების გარდა, უნდა არსებობდეს კონკრეტულ სამიზნე თემებში არსებული სპეციფიკის გათვალისწინების შესაძლებლობაც.

კონსოლიდირებული დემოკრატიის ქვეყნებში ამ ტიპის საქმიანობას, როგორც წესი, თავად თვითმმართველობები (და სხვა სუბნაციონალურ დონეებზე არსებული სტრუქტურები) წარმართავენ. განვითარების ხედვებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი განხორციელებისათვის ადეკვატური რესურსების გამონახვა სწორედ სუბნაციონალურ დონეებზე მოქმედი საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილებას წარმოადგენს.

ამ მხრივ განსახვავებული მდგომარეობაა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში. პოსტკოტალიტარული საზოგადოებები თვითმმართველობებს აღიქვამენ არა სახელმწიფოს წინაშე ადგილობრივი საზოგადოებების უფლებათა ლობისტად და დამცველად, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების გაგ-

რძელებად. ასეთი დამოკიდებულება, მეტ-ნაკლებად, თავს იჩენს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში.

შესაბამისად, აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები (ასეთების არსებობის შემთხვევაში) ცდილობენ თავად გაუწიონ საკუთარ ინტერესებს ადვოკატირება ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

საქართველოში საზოგადოების აღნიშნულ დამოკიდებულებას ამდაფრებს მუნიციპალიტეტთა სიდიდე. ქართულ მუნიციპალიტეტებში საშუალოდ 60-ზე მეტი დიდი და მცირე დასახლებული პუნქტი შედის, როცა ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ყოველი დიდი და საშუალო ზომის დასახლება დამოუკიდებელ მუნიციპალიტეტს წარმოადგენს.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში, როცა მუნიციპალიტეტებს ისედაც შეზღუდული რესურსები (უპირველეს ყოვლისა, ფინანსური) გააჩნიათ, მცირე დასახლებებს (სადაც, შესაბამისად, ელექტორატიც მცირეა) შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევათ.

აღნიშნული, კიდევ ერთხელ მეტყველებს, საკუთარი რესურსებით მცირე თემების მიერ განვითარებისათვის საჭირო ძალისხმევის აუცილებლობაზე.

2. პროექტის შესახებ

პროექტის „მდგრადი სათემო განვითარების მექანიზმის პილოტირება აჭარის მაღალმთიან სოფლებში“ მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე მდგრადი სათემო განვითარების ხელშეწყობა აჭარის რეგიონის მსგავსი ინტერესებით გაერთიანებულ სამ დასახლებაში, სათემო ჯგუფების გაძლიერების და გააქტიურების, საპილოტე პროგრამის განხორციელების საშუალებით.

აღნიშნული გულისხმობდა მუშაობას სამი უმთავრესი მიმართულებით:

1. **სამიზნე თემებში იდენტიფიცირებული საინიციატივო ჯგუფების გაძლიერება** – მათი უნარების განვითარება სათემო პრობლემების გამოვლენის, ინიციატივების განხორციელების სტრატეგიისა და „სოფლის პასპორტების“ შექმნის პროცესში.
2. **სამიზნე დასახლებებში სათემო ინიციატივების განხორციელება** – რაც სამიზნე ჯგუფებს გაუჩინდა დამატებით მოტივაციას, გაეგრძელებინათ ძალისხმევა თემის შემდგომი განვითარებისათვის.
3. **მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება/გავრცელება** – საქმიანობის პროცესში პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მხარეებისათვის.

პროექტი ხორციელდებოდა ქედის მუნიციპალიტეტში, 6 თვის მანძილზე – 2018 წლის მეორე ნახევარში.

2.1. არსებული გარემო

ქედის მუნიციპალიტეტში, როგორც ბოლო წლებში საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირებისა და სხვა ხელშეკრულებების (თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შთანხმება და სხვა) რატიფიცირების შემდეგ, გაჩნდა ახალი შესაძლებლობები, რომელთა ეფექტური გამოყენება საშუალებას მისცემს საზოგადოებას, გადაწყვიტოს ათწლეულების მანძილზე საცხოვრებელ გარემოში არსებული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი.

2018 წელს, ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის (რომლის ბიუჯეტი 2013-2022 წლებში 179.5 მილიონ ევროს შეადგენს) მხარდაჭერით, შე-

მუშავდა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც სხვა პრიორიტეტებთან ერთად, ისეთ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, როგორცაა:

- სოფლად ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია, მცირე და საშუალო ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების გზით;
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება;
- გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა და კატასტროფის რისკის შემცირება;
- სოფლის განვითარების პროცესებში ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობის ხელშეწყობა.

2018 წლის სექტემბერში წარმოდგენილი სტრატეგიის მეთოდოლოგია ევროკავშირში აპრობირებულ LEADER-ის მიდგომებსა და პრინციპებს ეფუძნება, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად სიღარიბის დაძლევის ისახავს.

გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს შესაძლებლობებით, რომლებიც ასახული უკვე შემუშავებულ და მიღებულ დოკუმენტებში:

- ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტის დოკუმენტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **2016-2021** წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **2016-2020** წლების სოფლის განვითარების სტრატეგია;
- საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა.

ქედის მუნიციპალიტეტი **2018** წლის შემოდგომაზე შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა **2017** წლის იანვარში. ის ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში და მიზნად ისახავს დაეხმაროს მერებს, აქტიური როლი შეასრულონ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში.

ასეთი პროგრამები ქმნის ახალ შესაძლებლობებს ინვესტიციებისა და დონორი ორგანიზაციებისაგან დამატებითი რესურსების მოსაზიდად.

მაგალითისათვის, **2018** წლის სექტემბერში ENPARD პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ქედა ლიდერი“ ფარგლებში, გამოცხადდა კონკურსი საგრანტო დაფინანსებისათვის, თემებზე:

- სოფლის მეურნეობა;
- ტურიზმი;
- არასასოფლო სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობა;
- განათლება, კულტურა, სპორტი;
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა;
- ქედის მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება (კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა).

ზემოაღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს იმ შესაძლებლობისა, რომლითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს. მომავალში ანალოგიური პროგრამების ოდენობა გაიზრდება. შეძლებენ თუ არა მოქალაქეები მათ გამოყენებას დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ექნებათ ინფორმაცია, განვითარების ხედვები, ასეთ საქმიანობაში მონაწილეობისათვის საჭირო ცოდნა და უნარები.

2.2. პროექტის მიზნები

პროექტის უმთავრესი მიზნიდან გამომდინარე, დაიგეგმა განხორციელების გზები:

ა. საინიციატივო ჯგუფების გაძლიერება და უნარების განვითარება

1. ქედის მუნიციპალიტეტის ერთ ხეობაში შემავალ სამ სოფელში 5-7 მონაწილისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება.
2. მასალების მომზადება და საინიციატივო ჯგუფებისთვის სემინარების ჩატარება ისეთ საკითხებზე, როგორცაა სათემო პრობლემების გამოვლენა; „სოფლის პასპორტების“ მეთოდოლოგია; ინიციატივების განხორციელების სტრატეგიის განვითარების ეტაპები.

ბ. სამიზნე დასახლებებში სათემო ინიციატივების განხორციელება

1. ინიციატივების მოსამზადებელი ეტაპი – კონკრეტული პრობლემისა და მისი მოგვარების გზის შერჩევა.
2. ინიციატივების განხორციელება – მინიპროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება. შესაბამისი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.
3. პროექტის გუნდის მიერ საინიციატივო ჯგუფების რეგულარული კონსულტირება.

გ. მოსახლეობის მიერ არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დაგეგმვა განვითარების გრძელვადიანი ხედვის შექმნის გზით

1. „სოფლის პასპორტების“ შექმნა, რომელიც აღწერს ადგილობრივ რესურსებსა და შესაძლებლობებს (სტატისტიკური, სოციალური, გეოგრაფიული, ეკონომიკურსა და სხვა მნიშვნელოვან მონაცემებს). პროექტის გუნდი ფასილიტაციას გაუწევს ამ დოკუმენტების მოძიებას.
2. სათემო ინიციატივების დაგეგმვა – სოფლის პასპორტების საფუძველზე იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემების გადანყვევის გზების განხილვა და მათი გადაჭრის ხედვების ჩამოყალიბება.

დ. მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება/გავრცელება

1. განხორციელებული სათემო ინიციატივების შეფასება (სირთულეები, შედეგები, ძირითადი მიგნებები) და რეკომენდაციების შემუშავება.
2. შედეგების პრეზენტაცია როგორც სამიზნე თემში, ისე ადგილობრივ საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

2.3. მეთოდოლოგია

თითოეული დაგეგმილი მიმართულება მიზნად ისახავდა კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას:

1. სამიზნე დასახლებების იდენტიფიცირება – გადანყდა შერჩეულიყო ისეთი სოფლები, სადაც:
 - მცხოვრებთა ოდენობა არ აღემატებოდა 500-ს;
 - მუნიციპალური პროგრამები ნაკლებად ხორციელდებოდა;
 - მოსახლეობა (ან მისი ნაწილი) გამოხატავდა პროექტით დაინტერესებას;
2. მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით:
 - ა. განსაკუთრებით პრობლემური საკითხების მოგვარების მცდელობა – როგორც წესი, მოსახლეობა ან სკეპტიკურად, ან აგრესიულად ხვდება, რაც გამოწვეულია ხელისუფლებისა და რიგი ორგანიზაციების მიერ დაპირებების შეუსრულებლობით ან ნაწილობრივი შესრულებით. მოქალაქეები ხშირად აცხადებენ, რომ ცალკეული პროექტები, დასრულების შემდეგ, არ გაგრძელდა. აქედან გამომდინარე, სანამ დაიწყებოდა გრძელვადიანი ხედვების შე-

მუშავეების პროცესი, საჭირო იყო კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, რაც ბენეფიციარებს პროექტის გუნდის მიერ შეთავაზებული საქმიანობის სარგებელში დაარწმუნებდათ.

ბ. განვითარების გრძელვადიანი ხედვების შემუშავება შესაძლო პარტნიორებთან და პროექტებთან სათანამშრომლოდ – კონკრეტული პროექტების განხორციელების პარალელურად, განვითარების გრძელვადიანი ხედვებისთვის საჭირო ადგილობრივი რესურსების აღწერა (ე.წ. „სოფლის პასპორტები“) და შესაძლებლობების განხილვა დაიწყო. პროცესის აუცილებელი პირობა სამიზნე აუდიტორიის (საინიციატივო ჯგუფების სახით) აქტიურობა და ჩართულობა იყო.

3. შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და გავრცელება წარმოადგენდა პროექტის ბოლო ეტაპს. რეკომენდაციების ადრესატი, უპირველეს ყოვლისა, თავად სამიზნე ჯგუფი იყო, რადგან მუშაობის პროცესში შექმნილი ხედვები მათ უნდა განახორციელონ.

3. განხორციელებული აქტივობები

საქმიანობა ხორციელდებოდა ეტაპობრივად:

- მსგავსი ინტერესების მქონე დასახლებული პუნქტების შერჩევა;
- შერჩეულ სოფლებში სათემო საინიციატივო ჯგუფების იდენტიფიცირება;
- საინიციატივო ჯგუფებისთვის სემინარების ჩატარება არსებული შესაძლებლობების შესახებ;
- საინიციატივო ჯგუფების მიერ პრიორიტეტული სათემო პრობლემების გამოვლენა თითოეულ სოფელში;
- იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად სათემო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება;
- „სოფლის პასპორტების“ შექმნა, რომელიც ადგილობრივ რესურსებს აღწერს;
- მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

3.1. პირველი მიმართულება – ბენეფიციართა იდენტიფიცირება

1. სამიზნე დასახლებების შერჩევა

შესაძლო ალტერნატივის (მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში – ხულო, შუახევი, ქედა – არსებული დასახლებები) განხილვის შედეგად გადაწყდა საპილოტე სოფლებად შერჩეულიყო ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიული ერთეულის სოფლები:

- ცხემნა – 154 მცხოვრები (120 ამომრჩეველი);
- ზენდიდი – 332 მცხოვრები (246 ამომრჩეველი);
- ხუნკუდა – 148 მცხოვრები (125 ამომრჩეველი).

თვითმმართველობის საბიუჯეტო რესურსები ძირითადად დაბაში მიმართება და ამ დასახლებებში ნაკლებად იხარჯება.

2. საინიციატივო ჯგუფების იდენტიფიცირება

2018 წლის ივლისში რეგიონულმა კოორდინატორმა საინიციატივო ჯგუფის წევრების შესარჩევად მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა.

თითოეულ სოფელში შეხვედრებს დაესწრო 20-25 მაცხოვრებელი. შეხვედრების დროს მოსახლეობამ შეარჩია და დაასახელა საინიციატივო ჯგუფის წევრები:

- ცხემნა – 5 (1 ქალი, 4 კაცი);
- ზენდიდი – 8 (1 ქალი, 7 კაცი);
- ხუნკუდა – 7 (7 კაცი).

21 ივლისს შედგა შემაჯამებელი შეხვედრები, რომლებშიც საინიციატივო ჯგუფებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ მონვეულმა სოფლების მოსახლეობამ. დაესწრო 116 მოქალაქე, რაც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო ოდენობის 25%-ს შეადგენს (სახეზე მყოფი მოსახლეობის – 35%-ზე მეტი).

აღსანიშნავია, რომ შედარებით მცირე სოფლებში მოსახლეობის დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო (25%-27%), ვიდრე შედარებით დიდ ზენდიდში (21%).

3.2. მეორე მიმართულება – ადგილობრივი ინიციატივების განხორციელება

3. სოფლებში პრიორიტეტული პრობლემების გამოვლენა

სამუშაო შეხვედრების პროცესში გამოიკვეთა პრიორიტეტული პრობლემები, რომელთა გადაჭრის გზებზე საინიციატივო ჯგუფებმა გააგრძელეს მუშაობას.

ცხემნა – შიდა გზების დაზიანებული მონაკვეთების, წყალმომარაგების ქსელისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია. ამ პროექტების ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გეგმაში ჩართვის მიზნით საინიციატივო ჯგუფმა თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა გადაწყვიტა.

ერთ-ერთ პრობლემად სოფელში შეხვედრებისთვის საჭირო სივრცის არარსებობა მიიჩნიეს. საინიციატივო ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, საკუთარი ძალებით მოეხდინათ სკოლის შენობაში არსებული თავისუფალი ფართის რეაბილიტაცია, თუ განათლების სამინისტრო ნებართვას გასცემდა.

ზენდიდი – უმთავრეს პრობლემას შიდა გზების გაუმართაობა წარმოადგენს. სოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია განხორციელდა ნაწილობრივ აჭარის საგზაო დეპარტამენტის, ხოლო ნაწილობრივ – მუნიციპალიტეტის მიერ. შედარებით მჭიდრო უბნები (5-10 ოჯახამდე) გზიდან 200-500 მეტრითაა დაშორებული. შიდა გზებზე უკიდურესად გართულებულია საავტომობილო მოძრაობა – ვერ მიდის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა და ვერ შეაქვთ შეშა.

ხუნკულა – აქაც უმთავრეს პრობლემად შიდა გზების გაუმართაობა დასახელდა.

გამოიკვეთა კიდევ ერთი საკითხი – კერძო საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის პრობლემა – ინფორმაციის ნაკლებობა და მკაფიო პოზიციის არარსებობა ხელისუფლებაში. ამავე დროს საინიციატივო ჯგუფი მიიჩნევს, რომ სათემო დონეზე ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია.

4. სათემო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება

დასახლებებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ დაიწყო სათემო პროექტების განხორციელება.

ზენდიდსა და ხუნკულაში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოებს მონაწილეობრივ საწყისებზე ახორციელებდა მოსახლეობა, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტი მათ ტექნიკით დაეხმარა. საშენი მასალის (ბეტონის) შექმნა (ჯამური ღირებულება – 6750 ლარი) პროექტმა ორ ეტაპად (სექტემბერი/ოქტომბერი) განახორციელა.

ამავე პერიოდში სოფელ ცხემნაში ახალგაზრდული ცენტრის მოწყობასთან დაკავშირებით შესაბამისი ინიციატივის განხილვა დაიწყო აჭარისა და საქართველოს განათლების სამინისტროებთან.

ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრმა მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რათა სოფელში მოქმედი ძენწმანის საჯარო სკოლის ცხემნის დანყებითი კლასების შენობაში შექმნილიყო ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც არა სასწავლო საათების დროს იმუშავებს. სარემონტო სამუშაოებისა და ცენტრის მოწყობისთვის პროექტმა გამოყო 3700 ლარი.

შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ სექტემბერში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრს, სოფელ ცხემნას მცხოვრებთა საინიციატივო ჯგუფსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის.

ბიზნეს სექტორთან შეხვედრისას ორი ბიზნეს-კომპანიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ ცენტრის კეთილმოწყობით. ერთ-ერთმა განაცხადა, რომ სკოლისა და სოფლისთვის შეიძენდა ლიტერატურას, ხოლო მერე შეიძენდა დამატებით ინვენტარს (სკამები, მაგიდები და ა.შ.).

მოქალაქეებმა (როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა, ისე სოფლის სხვა მცხოვრებლებმა) მოხალისეობრივ საწყისებზე შეასრულეს სარემონტო სამუშაოები.

3.3. მესამე მიმართულება – „სოფლის პასპორტების“ შექმნა

5. „სოფლის პასპორტების“ შექმნის დასაწყისი

პროექტის საწყის ეტაპზე პროექტის გუნდმა და მონვეულმა ექსპერტებმა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანალოგიური სახის დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, მცირე დასახლებების სპეციფიკის გათვალისწინებით, მოამზადეს „სოფლის პასპორტის“ ფორმა, რომელიც მოიცავდა ისეთ მონაცემებს, როგორიცაა:

- სოფლის აღწერა;
- დემოგრაფია;
- მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა;
- შინამეურნეობების შემოსავლის წყაროები და ძირითადი ეკონომიკური საქმიანობები;
- მუნიციპალურ და სხვა საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
- ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები;
- სხვა აქტივები.

პირველ ეტაპზე მონაცემების მოძიება ხდებოდა მუნიციპალიტეტის, საქსტატისა და სხვა ოფიციალური წყაროების საშუალებით. პროექტის გუნდმა მუნიციპალიტეტს მიმართა საჯარო ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით:

1. თუ რამდენი ოჯახი და ადამიანი ცხოვრობს მუდმივად ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში;
2. ოჯახების/შინამეურნეობების ოდენობა;
3. როგორ ნაწილდება მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფებისა, სქესისა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით;
4. მუდმივ (საცხოვრებლად საქართველოს სხვა დასახლებაში ან საზღვარგარეთ გამგზავრებული) და სეზონურ შრომით მიგრაციაში ჩართულ პირთა ოდენობა;
5. რამდენი ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას სოფლების მითითებით;
6. თითოეული სოფლის მიხედვით სოფლის საერთო ფართობი, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ფართობი, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ფართობი;
7. თითოეული სოფლის მიხედვით კვ/მეტრის მითითებით თუ ვის საკუთრებაშია (ცენტრალური, ადგილობრივი, მუნიციპალური და კერძო საკუთრებაში) არასასოფლო-სამეურნეო მიწის და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები;
8. სოფლების მიხედვით მუნიციპალურ ცენტრთან დამაკავშირებელი გზისა და შიდა გზების სიგრძე(კმ);
9. თუ რა ტიპის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ობიექტები (სტადიონი, სარიტუალო დარბაზი, სოფლის სახლი) ფუნქციონერებს სოფლებში;
10. სოფელში და სოფელთან ახლოს მდებარე რა სახის ეკონომიკური ობიექტები ფუნქციონირებს (ობიექტების ჩამონათვალი მესაკუთრეთა მითითებით);
11. სოფლის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი მესაკუთრეთა მითითებით (ცენტრალური, ადგილობრივი, მუნიციპალური, კერძო);
12. თუ რა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (ბუნებრივი აირი, სასმელი/სარწყავი წყალი, ამბულატორია, საბავშვო ბაღი თითოეული პროექტის განხორცილებაზე გამოყოფილი თანხების მითითებით) განხორციელებაა დაგეგმილი 2018 -2019 წლებში.

6. საინიციატივო ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრა/სემინარების ჩატარება

მოსახლეობასთან კონსულტაციების პროცესში გადაწყდა, რომ საინიციატივო შეხვედრები გამართულიყო არა სემინარების, არამედ სამუშაო შეხვედრების ფორმატით და შემდგომი საქმიანობა წარმართულიყო პერმანენტული კონსულტაციებით.

სამუშაო შეხვედრები საქმიანობის დაგეგმვის მიზნით შედგა 5 აგვისტოს ცხემნაში – სოფლის ცენტრში (ე.წ. სოფლის ბირჟაზე), 6 აგვისტოს ზენდიდში სოფლის ცენტრში (ე.წ. სოფლის ბირჟაზე) და 7 აგვისტოს ხუნკუდაში – სოფლის სახლში. განხილულ იქნა „სოფლის პასპორტების“ შესაძლო სტრუქტურა, სოფლებში არსებული პრობლემები, რომლებიც პირველ რიგში ითხოვს გადაწყვეტას.

აღსანიშნავია, რომ ხუნკუდას საინიციატივო ჯგუფმა საკუთარი ინიციატივით წერილობითი ფორმით წარმოადგინა აქტივისტების მიერ მომზადებული სოფლის პრობლემებისა და პრიორიტეტების ხედავა.

7. „სოფლის პასპორტების“ შექმნა

სამუშაო შეხვედრების შემდეგ პერიოდში (აგვისტოს მეორე ნახევარი – სექტემბრის დასაწყისი) პროექტის გუნდი პერმანენტულად ხვდებოდა საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს (6 შეხვედრა), გარდა ამისა, ხორციელდებოდა პერმანენტული სატელეფონო კონსულტაციები.

ამ პერიოდში საინიციატივო ჯგუფმა დაიწყო პროექტის გუნდის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ საინიციატივო ჯგუფის ის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნდათ კონკრეტულ სფეროებში მუშაობის გამოცდილება (სოფლის მეურნეობა, მცირე ბიზნესი, განათლება, ფინანსები/ბუღალტერია)

უშუალოდ მოქალაქეთა აქტივობის შედეგი იყო „სოფლის პასპორტებში“ ისეთი მონაცემების დაზუსტება და დამატება, რის შესახებაც მუნიციპალიტეტს არასრული ინფორმაცია გააჩნდა:

- ბუნებრივი რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- ტრადიციები და სოციალიზაცია;
- მიწის მართვა და სტატისტიკა;

- ინფრასტრუქტურა (გზები, წყალი, შენობები);
- განათლება და ჯანდაცვა;
- კულტურული ძეგლები და სხვა საჯარო ობიექტები.

„სოფლის პასპორტებზე“ მუშაობის პროცესში თავი იჩინა რიგმა სიძნელეებმა:

- ვერ მოხერხდა პასპორტების ყველა საკითხის დაფარვა – როგორც გაირკვა არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ხშირად ზოგად ინფორმაციასაც არ ფლობენ. ეს განსაკუთრებით შეეხება დასახლებების დონეზე არსებულ ინფორმაციას მიწის და ბუნებრივი რესურსების შესახებ;
- მონოდედული ინფორმაცია არასრული და არასტრუქტურირებული იყო.

მაგალითისათვის:

- მუნიციპალიტეტი, ცენტრალური საარჩევნო კომისია და საქსტატი განსხვავებულ ინფორმაციას ფლობდნენ მოსახლეობის ოდენობის შესახებ:
 - ცხემნა – 154 ან 158 მცხოვრები;
 - ზენდიდი – 361 ან 365 მცხოვრები;
 - ხუნკუდა – 148 ან 162 მცხოვრები.
- ასევე არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია სახეზე მყოფი მოსახლეობის და სეზონურ ან მუდმივ შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით და ა.შ.

სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო გადაწყდა დამატებითი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, რაც პროექტის გეგმით არ იყო განსაზღვრული. 3-5 ოქტომბერს სამივე სამიზნე სოფელში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც განიხილა ინფორმაციის შეგროვების პროცესი, გადამოწმდა და დაზუსტდა მონაცემები.

3.4. მეოთხე მიმართულება – მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

8. არსებული შესაძლებლობების გამოკვეთა და ანალიზი „სოფლის პასპორტების“ ბაზაზე

საინფორმაციო ბაზების დამუშავებისა და მათი „სოფლის პასპორტებში“ ასახვის შემდეგ საინიციატივო ჯგუფებთან დაიწყო კონსულტაციები სამიზნე დასახლებების განვითარების პრიორიტეტების შემუშავებასთან დაკავშირებით. 23-25 ნოემბერს შედგა სამუშაო შეხვედრების მორიგი რაუნდი, სადაც, არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამი სოფლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. გთავაზობთ საინიციატივო ჯგუფებისა და სოფლების სხვა მცხოვრებთა მიერ გამოთქმულ რამდენიმე იდეას. აღსანიშნავია, რომ ასეთი შესაძლებლობების ნაწილის შესახებ ინფორმაცია არც მუნიციპალიტეტში და, მით უმეტეს, არც ცენტრალურ ხელისუფლებაში არ არსებობს.

ზენდიდი

- ტურისტული პოტენციალის ათვისება – სოფელში არის ზენდიდის ისტორიული ციხე. საჭიროა ლობირება, რათა ის ჩაისვას ტურისტულ მარშრუტებში ტუროპერატორებისა და აჭარის ტურიზმის სააგენტოს მიერ. შეიძლება მოეწყოს ახლომდებარე ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების მიმართულებით ერთი ან რამდენიმე დღიანი საცხენოსნო მარშრუტები (რამდენიმე აქტივისტს ეს ბილიკები უკვე შესწავლილი აქვს).
- მეღვინეობის განვითარება – შესაძლოა რამდენიმე ოჯახის გაერთიანებით შეიქმნას ღვინის მინიქარხანა (კოოპერატივის ან სოციალური სანარმოს სახით), რომლის სიმძლავრე შეძლებს ზენდიდის მაცხოვრებელთა მიწების ვენახით განაშენიანების შემთხვევაში მოსავლის სრულად ათვისებას (შესაძლებელია ჩხავერისა და ცოლიკაურის გაშენება). საინიციატივო ჯგუფის წევრს, რომელიც პროფესიით აგრონომია, გათვლილი აქვს შესაძლო მოცულობები. მოხდება ადგილობრივი მოსახლეობიდან ყურძნის უმაღლესი ფასით შესყიდვა, ვენახის განაშენიანებით მათი დაინტერესება, დასაქმება. ჩამოისხმება სახელობითი ღვინო – „ზენდიდი“.
- სასმელი წყლის ჩამოსხმა – საინიციატივო ჯგუფის მონაცემებით სოფელ ზენდიდში მოედინება უნიკალური სასმელი წყაროს წყალი („ერთი თვეც რომ იყოს დაყენებული ახალივითა და კვლავ ვარგა

სასმელად“). საჭიროა ჩატარდეს ლაბორატორიული კვლევა და შე-
საძლებლობის შემთხვევაში ჩამოისხას სასმელი წყაროს წყალი.

ხუნკუდა

- ხუნკუდა მცირემინიანი სოფელია და საჭიროა ახალი სამეურნეო კულტურების გამოცდა და მოშენება. შეიძლება მოეწყოს საშენი/საცდელი მეურნეობა. წინა წლებში ფართოდ იყო გავრცელებული თამბაქოს წარმოება, მაგრამ ამ ეტაპზე მოგება არ მოაქვს.
- სოფელი ხუნკუდა მიბმულია მუნიციპალურ ცენტრს, ფაქტობრივად, ქედის უბნად შეიძლება ჩაითვალოს. სოფლის მოსახლეობაც ქედაშია დასაქმებული. მოსახლეობა განვითარების კონტექსტში ძირითადად ინფრასტრუქტურის მონესრიგებაზე ფიქრობს (მინი სტადიონის მონესრიგება, თავშეყრის ადგილის მონესრიგება, გზის მობეტონების დასრულება, წყლის რეზერვუარის შექმნა).

ცხემნა

- სოფელ ცხემნაში დღესაც აქვთ შემონახული მათი წინაპრების (ბაბუები, მამები) დამზადებული თიხის ჭურჭელი. სოფლის ტერიტორიაზე არის თიხის მთა და ძველად ამზადებდნენ სხვადასხვა ნაკეთობას. დღეს ეს ტრადიცია დაკარგულია. შეიძლება ჩამოყალიბდეს კერამიკული წარმოების სოციალური საწარმო, რომელშიც დასაქმდებიან ცხემნის მცხოვრებნი, შეისწავლიან ახალგაზრდები საქმეს და მიეცემათ დასაქმების საშუალება (შეიძლება შეიქმნას ერთგვარი „აჭარული შრომა“, რომელიც იმუშავებს თუნდაც ბათუმის რესტორნებზე, რომელთაც თიხის ჭურჭელი შრომიდან მოაქვთ, ტურისტებზე, მით უმეტეს ეს გზა, გოდერძის უღელტეხილზე ახალი გზის სამუშაოების დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვნად დაიტვირთება).

ვორკშოპების მონაწილეთა აზრით, თუ მუნიციპალიტეტი, სამოქალაქო სექტორი და დონორი ორგანიზაციები დაინტერესდებიან, „სოფლის პასპორტების“ განახლება, ახალი შესაძლებლობების ასახვა, პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და ამას თავად საინიციატივო ჯგუფების წევრები განახორციელებენ. პასპორტების პერმანენტული განახლება საშუალებას მოგვცემს შევავასოთ განვითარების პროცესი თითოეულ სამიზნე თემში.

9. შედეგების გავრცელება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა

პროექტის ბოლო ეტაპზე, 19 დეკემბერს თბილისში (ადგილობრივი განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისათვის) და 24 დეკემბერს

ქედაში (მუნიციპალიტეტისა და სამიზნე სოფლების წარმომადგენელთათვის) გაიმართა პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

აღინიშნა:

- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მზაობა თანამშრომლობაზე,
- მცირე და საშუალო ბიზნესის სურვილი, ნაწილობრივ მაინც, პირდაპირ, შუამავლების გარეშე მიიღონ მონაწილეობა სათემო პროექტების განხორციელებაში;
- საინიციატივო ჯგუფების მზაობა, გააგრძელონ მუშაობა როგორც პროექტის გუნდთან, ისე ნებისმიერ აქტორთან, რომელიც თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს.

4. პროექტის შედეგები და ძირითადი მიგნებები

4.1. შედეგები

პროექტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად პროექტის გუნდს დაჭირდა დაგეგმილი 6-ის ნაცვლად 15 შეხვედრის ჩატარება, დამატებითი მუშაობის პროცესში სხვა აქტორების (ქედის მუნიციპალიტეტი, აჭარის მთავრობა) ჩართვისთვის.

პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეული იქნა რიგი გაუთვალისწინებელი დადებითი შედეგები. კერძოდ სამიზნე სოფლების მცხოვრებლებმა წარმოადგინეს განვითარების ისეთი ხედვები და კონკრეტული იდეები, რომელთა შესახებ მსჯელობა მუნიციპალიტეტში არ ყოფილა.

საერთო ჯამში:

- სამ სამიზნე დასახლებაში შეიქმნა აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებსაც არა მარტო კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად ცალკეული პროექტების განხორციელება სურს, არამედ დასახლებებში არსებული რესურსების გაანალიზების შედეგად, დაიწყეს საკუთარი გარემოს გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების დაგეგმვის მიმართულებით მუშაობა;
- სამივე სამიზნე დასახლებაში განხორციელდა სამი მცირე მასშტაბის პროექტი;
- სამიზნე ზონაში, რაც წარმოადგენს საერთო გეოგრაფიული და ეკონომიკური ინტერესების მქონე ტერიტორიას, უშუალოდ მოქალაქეთა ჩართულობით: ა) მომზადდა ცალკეული დასახლებების რესურსების ამსახველი მასალა; ბ) მოხდა საერთო (თემის, ზონის) განვითარებაზე მიმართული მოსაზრებების თავმოყრა;
- სამიზნე სოფლების მცხოვრებლებმა შექმნეს საკუთარი საცხოვრისის განვითარების გრძელვადიან ხედვებზე მუშაობის მაგალითი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება სხვა დასახლებათა კლასტერებისათვის;
- ჩამოყალიბდა ადგილობრივი მცირე დასახლებებისათვის განვითარების გრძელვადიანი ხედვისათვის ჩასატარებელი სამუშაოების მოდელი;
- პროექტის კიდევ ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს რამდენიმე სხვა სოფლის მოქალაქეთა სურვილი, განხორციელონ ანალოგიური პროგრამები.

კერძოდ, ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის (სოფლები: ბოძაური, დანისპარაული, დიდი რიყეთი, რიყეთი,

შუასოფელი) მცხოვრებლებმა ითხოვეს შეხვედრა პროექტის გუნდთან. მათთვის პროექტის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა სოფელი ზენდიდის მკვიდრებისაგან. ორი სოფლის წარმომადგენლებმა (დანის-პარაული და რიყეთი) განაცხადეს, რომ სოფლების მოსახლეობა მზადაა აქტიურად ჩაერთოს პროცესებში, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები გამოსატყვევებ მათთან თანამშრომლობის მზადყოფნას.

4.2. ძირითადი მიგნებები

- **დადასტურდა მცირე სოფლების მობილიზების მაღალი პოტენციალი** – კარგად დაგეგმილი და სისტემატური მუშაობის პირობებში მცირე სოფლების მოსახლეობა აქტივობის მაღალ ხარისხს ავლენს. ასეთ სოფლებში, როგორც წესი, არსებობს მოქალაქეთა ჯგუფები ან ცალკე პირები, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული ხედვები სოფლის განვითარებასთან დაკავშირებით და აქტიურებიც არიან, თუ შესაბამისი პირობები შეიქმნა.
- **გადამწყვეტია საინიციატივო ჯგუფების აქტივობის სურვილი** – აუცილებელია დასახლებაში ჩამოყალიბდეს საინიციატივო ჯგუფები. შესაძლოა, ეს პროცესი დროში გაინელოს, მაგრამ, სწორი ადრესატების შერჩევის შემთხვევაში, შედეგი მოლოდინს აჭარბებს. წარმატების მისაღწევად საინიციატივო ჯგუფი უნდა არსებობდეს, შემადგენლობის ნაწილობრივ ცვლილება შესაძლებელია. ჯგუფმა უნდა შეძლოს მუშაობის გაგრძელება არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე.
- **თუ აქტიური მოქალაქეები რეალურად იწყებენ საქმიანობას, ჩნდება თანამშრომლობის სურვილი სხვა აქტორთა მხრიდან** – ჩნდებიან სოფელთან დაკავშირებული ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც მზად არიან კონკრეტული საქმიანობის პროცესში უზრუნველყონ ცალკეული პროექტების გარკვეული მხარდაჭერა. ამავდროულად მათ აქვთ სურვილი ითანამშრომლონ სოფელთან და არა რომელიმე, გარედან მოსულ ორგანიზაციასთან.
- **არსებული სიტუაციის ანალიზისას და ახალი პროექტების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია საკითხის მოგვარებით რეალურად დაინტერესებულ ადგილობრივ მცხოვრებთა მხარდაჭერა** – ხშირად მოქალაქეები უფრო ზუსტ ინფორმაციას ფლობენ კონკრეტულ სფეროებში არსებული სიტუაციის შესახებ, ვიდრე სახელისუფლებო სტრუქტურები. რეგიონული და მუნიციპალური განვითარების პროგრამები ეყრდნობიან საერთო ფონსა და ძველ გამოცდილებას, რაც ნაკლებად უკავშირდება ადგილობრივ მცხოვრებთა გამოცდილებასა და ხედვებს.

5. რეკომენდაციები

მოქალაქეების ჩართულობაზე მომუშავე არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს

- მნიშვნელოვანია, მოქალაქეების და თვითმმართველობის მოხელეთა ინფორმირების პერმანენტული სისტემის შექმნა იმ შესაძლებლობათა შესახებ, რომლებიც მათ გარშემო არსებობს სხვადასხვა პროგრამებისა თუ პროექტების სახით;
- ინფორმირების გარდა აუცილებლობას წარმოადგენს ასეთი პროგრამების პოტენციურ ბენეფიციართა უნარების ამაღლება (მაგ. პროექტების მომზადების და მართვის მიზნობრივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების სახით), რათა მათ შეძლონ შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ორგანიზაციებმა, რომლებიც კონკრეტულ არეალში ახორციელებენ ცალკეულ პროექტებს, საწყის ეტაპზევე უნდა შეისწავლონ, არსებობს თუ არა აქტივისტთა ჯგუფი, რომელსაც უკვე აქვს ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება და უნარი. ასეთი ჯგუფის არარსებობის შემთხვევაში უმთავრესი ყურადღება მის ფორმირებაზე უნდა იყოს გადატანილი;
- მნიშვნელოვანია, ცალკეული პროექტების განხორციელებისას განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება კონკრეტული აქტივობა დასახლების განვითარების ზოგად ხედვას. ასეთი ხედვის არარსებობის შემთხვევაში, სასურველია, პრიორიტეტად იყოს მიჩნეული მისი შექმნა („სოფლის პასპორტების“ თუ სხვა, მსგავსი ფორმით);
- ერთჯერად, ცალკეულ აქტივობებს (შეხვედრები, მოკლევადიანი ტრენინგები) ერთდროულად დასახლებათა დიდ ოდენობაში ჩატარებას არ აქვს ისეთი ეფექტი, როგორც ცალკეულ დასახლებებში ხანგრძლივადიან მუშაობას და ბენეფიციართა პერმანენტული კონსულტირების პროცესს. უმჯობესია აქცენტი გაკეთდეს ადგილებზე სათემო ჯგუფების შექმნაზე, ვიდრე დიდი ორგანიზაციების მიერ პროცესის დისტანციურ მართვაზე;
- ცალკეულ სფეროებში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სსო-ებმა, კონკრეტული პროექტების განხორციელებასთან ერთად, დიდი ყუ-

რადღება უნდა დაუთმონ ადგილზე მდგრადი სამოქალაქო, შესაძლოა თემატური ინტერესების მქონე (ახალგაზრდობა, ფერმერები და ა.შ.) ჯგუფების ჩამოყალიბებას;

- მეზობელ თემებში პროგრამის განხორციელებისას სასურველია, დასახლებათა ინტერესების ერთმანეთთან კორელირება და სინერგიული ხედვების ჩამოყალიბება;
- მობილიზების წარმატებული შემთხვევების დროს ორგანიზაციამ საქმიანობა უნდა გააგრძელოს სამიზნე ჯგუფთან მდგრადი პროგრამების ფორმირებაში ხელშეწყობის მიმართულებით (მაგალითად, კოოპერატივის ან სოციალური საწარმოს ფორმით);
- კარგი იქნება, თუ ცალკეულ რეგიონში, არეალში მომუშავე ორგანიზაციებს ექნებათ ხედვების ჩამონათვალი, დასახლებებში მომავალში განსახორციელებელი საქმიანობის აღწერით. ამგვარი „მენიუ“ ხელს შეუწყობს სხვა ორგანიზაციებს, ჩაერთონ კონკრეტული თემის პრობლემების მოგვარების პროცესში.

დანართი – პასპორტის ფორმა

სოფლის სახელი	
მუნიციპალიტეტი	
რეგიონი	
ადგილმდებარეობის კოორდინატები	
სტატუსი	მაღალმთიანი / საზღვრისპირა / მეწყერსაშიში / სხვა
თარიღი	

თემატური ბლოკები

1. დემოგრაფია	2. მიწები	3. გზები
4. რესურსები	5. ობიექტები	6. შემოსავლის წყაროები
7. ინფრასტრუქტურა	8. ჯანდაცვა	9. განათლება
10. ინფორმაციის წყაროები	11. უსაფრთხოება	12. შესაძლებლობები

სოფლის დემოგრაფიული მონაცემები		
სოფლის მოსახლეობის რაოდენობა		
ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული განაწილება	<18 – 18-35 – 36-55 – 56<	%
განაწილება სქესის მიხედვით (%)	ქალი კაცი	%
სოფლის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილება	ქართველი / აზერბაიჯანელი / სომეხი / სხვა	%
სოფლის მოსახლეობის რელიგიური კუთვნილება	ქრისტიანი / მუსლიმი / გრიგორიანელი / სხვა	%
შრომით მიგრაციაში ჩართული მოსახლეობის წილი (%)	ქალი კაცი	
კომენტარი		
შრომით სეზონურ მიგრაციაში ჩართული მოსახლეობის წილი (%)	ქალი კაცი	
კომენტარი		
ოჯახების/შინამეურნეობების რაოდენობა		
სოფელში მუდმივად მცხოვრები ოჯახების რაოდენობა		
სოფელში მცხოვრები სოციალური ჯგუფების წილი	<input type="checkbox"/> სოციალურად დაუცველი <input type="checkbox"/> პენსიონერი <input type="checkbox"/> მრავალშვილიანი <input type="checkbox"/> შშმ პირი <input type="checkbox"/> იძულებით გადაადგილებული <input type="checkbox"/> სხვა	% % % % %
დასაქმება	<input type="checkbox"/> დასაქმებული <input type="checkbox"/> თვითდასაქმებული <input type="checkbox"/> უმუშევარი	% % %
კომენტარი		
მოსახლეობის დემოგრაფიული დინამიკა ბოლო 10 წელი	<input type="checkbox"/> მოიმატა <input type="checkbox"/> შემცირდა <input type="checkbox"/> არ შეცვლილა	%
კომენტარი		

სოფლის სხვა მახასიათებლები	
სოფლის კულტურული თავისებურებები და ტრადიციები	
ტარდება თუ არა სოფლის შეკრებები? ნელინადში რამდენჯერ?	
რა საკითხებზე სამსჯელოდ იკრიბება სოფლის მოსახლეობა?	
პრობლემებზე ერთობლივად რეაგირების გამოცდილება	
ვის მიმართავს სოფელი პრობლემის არსებობის შემთხვევაში?	
ადგილობრივი/ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამოცდილება	
თუ კი აღწერეთ • ვისთან შედგა თანამშრომლობა გამგეობა/საკრებულო? • რა საკითხებზე შედგა თანამშრომლობა	
მუშობენ/უმუშავიათ თუ არა სოფელში არასამთავრობო/ საერთაშორისო ორგანიზაციები? თუ კი, რომელი ორგანიზაციები?	
რომელი ენერჯის წყაროს იყენებს მოსახლეობა ზამთარში გასათბობად	
რომელი ენერჯის წყაროს იყენებს მოსახლეობა საოჯახო მეურნეობისთვის	

მინები

სოფლის საერთო ფართობი				კმ ²
სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ფართობი				კმ ²
არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ფართობი				კმ ²
სოფლის უბნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამონათვალი, ფართობი (%) და მოსახლეობის წილი (%)	დასახლება	ფართობი %	მოსახლეობა %	
	1.			
	2.			
	3.			
ადგილობრივი მინები დანიშნულება	ფართობი	მესაკუთრე		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინები				
სახნავ-სათესი	კმ ²	<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება (დააკონკრეტეთ) <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო		
კომენტარი				
საძოვრები	კმ ²	<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო		
კომენტარი				

სხვა		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
კომენტარი		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები		
საკარმიდამო და სააგარაკო ნაკვეთები	კმ ²	<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
კომენტარი		
ინფრასტრუქტურით დაკავებული მიწები	კმ ²	<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
კომენტარი		
მემცენარეობისა და მეცხოველეობის პრო- დუქციის წარმოებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთები (არსებულის რამდენი პროცენტია გამოყენებული)	კმ ²	<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
კომენტარი		
სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწები	კმ ²	<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
კომენტარი		

გზები

დანიშნულება	სიგრძე	მდგომარეობა	
სოფლის ცენტრთან დამაკავშირებელი გზა	კმ	დაზიანებული დამაკავშირებელი კარგი	კმ კმ კმ
კომენტარი			
შიდა გზების სიგრძე (კმ)	კმ	დაზიანებული დამაკავშირებელი კარგი	კმ კმ კმ
კომენტარი			
სხვა გზები	კმ	დაზიანებული დამაკავშირებელი კარგი	კმ კმ კმ
კომენტარი			

რესურსები

ბუნებრივი რესურსები	დასახელება და მდებარეობა	აღწერა
მდინარე		
ტბა		
ნიალისეული		
ტყე		
სხვა		

ტექნიკური რესურსები	დასახელება და საკუთრება	აღწერა
მანქანა-დანადგარები		
სამეურნეო მონაცობილობები		
სამშენებლო ინსტრუმენტები		
სხვა		

ადამინური რესურსები		
<input type="checkbox"/> ექიმი	<input type="checkbox"/> ვეტექიმი	<input type="checkbox"/> მშენებელი
<input type="checkbox"/> ექთანი	<input type="checkbox"/> აგრონომი	<input type="checkbox"/> შემდუღებელი
<input type="checkbox"/> იურისტი	<input type="checkbox"/> მელიორატორი	<input type="checkbox"/> დურგალი
<input type="checkbox"/> ინჟინერ-მშენებელი	<input type="checkbox"/> მექანიკოსი	<input type="checkbox"/> თერძი
<input type="checkbox"/> პედაგოგი	<input type="checkbox"/> ბუღალტერი	<input type="checkbox"/> მჭედელი

ობიექტები

სოფლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები		
დასახელება	აღწერა (დანიშნულება/დატვირთვა)	მესაკუთრე
კულტურული და ბუნების ძეგლები		
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო

სოფელში და სოფელთან ახლოს მდებარე ეკონომიკური ობიექტები		
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
სკვერი		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
სპორტული მოედანი		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
სარიტუალო დარბაზი		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
სოფლის სახლი		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
სოფლის ტერიტორიაზე არსებული სხვა შენობა-ნაგებობები		
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო
		<input type="checkbox"/> ცენტრალური ხელისუფლება <input type="checkbox"/> ადგილობრივი ხელისუფლება <input type="checkbox"/> კერძო

შემოსავლის წყაროები

სოფლის მეურნეობა და შემოსავლის სხვა წყაროები		
1.	მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო(ები)	
2.	სოფლის მეურნეობაში ჩართული (პროცენტი) მოსახლეობის ნაწილი	
3.	წარმოებული პროდუქცია	
4.	პროდუქტის გასაღების ბაზრები და საშუალებები	
5.	საბანკო კრედიტით მოსარგებლე მოსახლეობის ოდენობა %	
6.	სოციალური დახმარების პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა	
ინფრასტრუქტურა		
1.	ბუნებრივი აირის მიწოდება	
2.	ელექტროენერჯის მიწოდება	
3.	სასმელი წყლის მიწოდება	წყარო:
	შემკრები/სათვე ნაგებობა	მდგომარეობა: დაშორება:
	მონოდების ქსელი	მდგომარეობა:
	წყლის ხარისხი	
	რაოდენობა/მონოდების სიხშირე და დაფარვა	
4.	სარწყავი წყლის მიწოდება	წყარო:
	მონოდების ქსელის სიგრძე და აღწერა	
	წყლის რაოდენობა და დაფარვა	
	წყალარინების სისტემა	
5.	ტრანსპორტით მომსახურება	
6.	სოფელში არსებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები	
7.	მომსახურების მიწოდების ობიექტები	<input type="checkbox"/> მაღაზიები <input type="checkbox"/> სალონი <input type="checkbox"/> აფთიაქი სხვა
		# # #
ჯანდაცვა		
1.	სოფელშია რსებული სამედიცინო ობიექტები	<input type="checkbox"/> ამბულატორია <input type="checkbox"/> კლინიკა <input type="checkbox"/> სოფლის ექიმი
2.	სამედიცინო მომსახურების მიღება (საშუალებები, ადგილი, უახლოესი პუნქტები)	
3.	სასწრაფო დახმარებით სარგებლობის ხარისხი	
განათლება		
1.	1. სოფელში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები	<input type="checkbox"/> საბავშვო ბაღი <input type="checkbox"/> არასრული საშუალო სკოლა <input type="checkbox"/> სრული საშუალო სკოლა <input type="checkbox"/> დაწყებითი სკოლა

2.	სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი	<input type="checkbox"/> ბიბლიოთეკა <input type="checkbox"/> კლუბი <input type="checkbox"/> სხვა -----
ინფორმაციის წყაროები და კომუნიკაცია		
1.	ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო	<input type="checkbox"/> ტელევიზია <input type="checkbox"/> რადიო <input type="checkbox"/> ინტერნეტი (ვებგვერდები, სოციალური ქსელები) <input type="checkbox"/> მეზობლები, ნაცნობები <input type="checkbox"/> სხვა
2.	ინტერნეტის და ტელეფონის დაფარვის ზონა	<input type="checkbox"/> ინტერნეტი <input type="checkbox"/> ტელეფონი
უსაფრთხოება		
1.	სოფლისთვის პრობლემური საკითხები	ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით განპირობებული საფრთხეები

პრობლემის ანალიზი

სოფელი:

თარიღი:

პრობლემა ანალიზით

პრობლემის აღწერა		
გამომწვევი მიზეზები		
შედეგები		
საჭირო რესურსები		
მასალა	რაოდენობა	სავარაუდო მომწოდებელი
1.	1.	1.
2.	2.	2.
3.	3.	3.
ტექნიკა	რაოდენობა	სავარაუდო მომწოდებელი
1.	1.	1.
2.	2.	2.
3.	3.	3.
სპეციალისტი	რაოდენობა	სავარაუდო მომწოდებელი
1.	1.	1.
2.	2.	2.
3.	3.	3.
საქმიანობის თანმიმდევრული ჩამონათვალი		
მოქმედება	შემსრულებელი	დრო
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

